სამშობლო

წ. I 1915 წ.

კვირა 5 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 49 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 49

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ღრმათ დამწუხრებული ქვრივი ფატმან ზურაბის ასული, შვილები—მემკვიდრენი: მექია, გრიშა, კნეინა მარიამი ემუხვარისა, ნინო და ანნა, დაი კესარია თომას ასული წერეთლისა, **სიძე თავ. დიმიტრი ყიზილბეგის ძე ემუხვარი**, ცოლის დები: ირინე, ფეოდოსი ზურაბის ასულნი ღოღობერიძეები და ცოლის დის შვილი ეკატერინე ანტონის ასული შუბლაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

აზნ. მიხეილ თომას ძის ჩიკვაიძის გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს, 6 საათზე. გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან პეტრე-პავლეს ქუჩა, კვირას, 5 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათ.

1—1—150

კნეინა ჯახანა გურიელისა, კნიაჟნა მაკა და თავ. ტელემაკ დავითის ძე გურიელები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი დაუვიწყარი მეუღლის, ხოლო მეორენი ძვირფასი ძმის

თ-დი ვახტანგ დავითის ძის გურიელის

გარდაცვალებას. მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 7 აპრილს, დაბა სუფსაში.

1—1—147

უკანასკნელი გასტროლი ნინო ჩხეიძისა.

ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ კვირას, 5 აპრილს, **ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ზუდერმანისა

ქალის სამშობლო

(მამულ-დედული)

4 მოქ. თარ. ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი,

ა ნ ო ნ ს ი: მზად. წარმოსადგ. იუდას მემკვიდრე, დამთხვეული დედა-კაცი, ოიდიპოს მეფე. **ფასები ჩვეულებრივია.**

განცხადება.

ვისაც სურს შეიძინოს **კარგი ღირსებისა და ბევრი აბრეშუმის თესლი** უნდა მიმართოს **ლოზ ბურასს** მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით **„პასტერის“** სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

ვიმედოვნებ, რომ ბ.ბ. მყიდველები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

ფასები ზომიერია.

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

მმ. ადამიძის მაღაზიაში, ქუთაისში.

პატივისცემით **ნიკოლოზ ბურასი.**

10—1—149.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“.

ორშაბათიდან, 6 აპრილიდან ახალი არაჩვეულებრივი საუცხოვო პროგრამა, სენსაცია იქნება.

ქმარი

არციბაშევის რომანიდან, დრამა 6 ნაწილათ, შესრულებულია მოსკოვის თეატრების საუკეთესო არტისტების მიერ. **„მეუღლის“** როლს შეასრულებს მსახიობი ქალი კორშოს თეატრისა **მ. მ. ტორიჩევასა. „ქმრის“** როლს შეასრულებს გამოჩენილი არტისტი **ა. ო. ვარიაგინი.**

რუსული სამხედრო ქრონიკა

სკობელევის კომიტ. მე-4-ე სერია.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. **ფასები ცოტათი აწეულია.**

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო მიხეილის ბანკისა

ქუთაისში, ბანკის დებულების 89-ე პარაგრაფის თანახმათ, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი ჩვეულებრივი კრება დანიშნულია ქალაქ ქუთაისში ბანკის შენობაში, 1915 წლის 17 მაისს, დილის 10 საათზე. კრება, 89-ე პარაგრაფის შენიშვნის თანახმათ, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა, თუ კრებაზე რამდენი რწმუნებული დაესწრება. რწმუნებულთა კრებაზე გასარჩევია შემდეგი საქმეები:

1) 1914 წლის ანგარიში ზედამხედველი კომიტეტის მოხსენებით.
2) გამგეობის მოხსენება 1914 წლის ბანკის მოგების განაწილების შესახებ.
3) ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4) გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების გამო.
5) გამგეობის მოხსენება ბანკის დებულების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლისა და შევსების შესახებ.
6) 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა.
7) გამგეობის წევრის ერთი კანდიდატის არჩევა.

გამოცდილი რუსი მასწავლებელი ქალი.

სპეციალისტი რუსულსა და მათემატიკურ საგნებში ამეორებიებს და ამზადებს მოსწავლე ქალებს ყველა კლასისათვის. თანახმაა იმასწავლებლოს სოფლათაც.

მისამართი: ძველი თფილისის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა, ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა.

5—5—135

სტუდენტი, უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისთვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ყორღოლაძის სახლი.**

14—6

კბილის მენაღარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 3 აპრილი. ზავისლიანის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გალიციაში მდ. დუნაეცთან, 30 მარტსა და 1 აპრილს არტილერიის ჩვეულებრივი სროლა იყო. მეზოლაბორის გეზით მტრის ძალიან გამაგრებულ პოზიციებზე იერიში მივიტანეთ. ჩაბოლოჩეს რაიონში მიუხედავათ ნამქერისა და ტყიანი ადგილებისა ჩვენმა ჯარმა ერთს სიმაღლეზე იერიში მიიტანა და წინ წაიწია. გერმანელებმა თავზარდამცემი არტილერიის ცეცხლი გააჩინეს, სიმაღლეების ფერდობები ცეცხლის ალში გახვიეს, ჩვენი ჯარი ამასაც არ შეუშინდა წინ წავიდა და მტრის სანგრებამდი მივიდა, სადაც მტერს ჩაუსაფრდა. უჟოკის გეზით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, მტერმა რამდეჯერმე იერიში მოიტანა ვოლოსატეს სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეზე, მაგრამ ჩვენი არტილერიისა და ტყვის მტყორცნელების ცეცხლით იძულებული იყო თავის პოზიციებს დაჰბრუნებოდა. ბუკოვიცის სამხრეთ დასავლეთის სიმაღლეზეც მტრისაგან მოტანილი იერიში უნაყოფო გამოდგა. ბუტოლის რაიონში ჩვენმა პოლკებმა წინ წაიწიეს, 500 ჯარის კაცი დაატყვევეს და სამი როტა მთლათ გაანადგურეს. კოზიუვკის სამხრეთით მდებარე სიმაღლეებზე მტერმა არაჩვეულებრივის სიმამაცით იერიში მოიტანა, მაგრამ ყველა იერიში მოგერებულ იქნა. ჩერნოვიცას რაიონში მტერი შეეცადა ბოიანზე იერიში მოეტანა, მაგრამ აქაც ჩვენი ცეცხლით მოგერებულ იქნა.

პეტროგრადი. 2 აპრილი. ოფიციალური. მთავარ სარდლის შტაბისაგან. ოსოვცასთან, 1 აპრილს, მტერი ტყუილათ შეეცადა ჩვენს ბანაკს მოჰახლოვებულიყო. მოლავის გეზით ჩვენს სასარგებლოთ ბრძოლა გრძელდება. მდ. ბზურის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა მოწინავე ჯარმა ფოლვარკი და კუნოცინის რაიონში სახაჩევნი დაიჭირეს. კარპატებზე ჩვენ წინ წავიწიეთ. უჟოკის მთაგრეხილის რაიონში ჩრდილოეთით, სადაც 200 ჯარის კაცამდი დავატყვევეთ, კოზიუვკის სამხრეთით ივოროვთან ახლოს სოფელ ვოლოსატეს სამხრეთით მდებარე სიმაღლეებზე მტრისგან მოტანილი იერიშებიც მოვიგერიეთ.

პეტროგრადი. 3 აპრილი. მთავარსარდლის შტაბისაგან. კარპატებზე, 2 აპრილს, ღამით მტრის მავთულიან ღობეებს მივეპარეთ და სოფელ ტელეპოჩსა და ზუბლს შუა გავარღვიეთ, ორი სიმაღლე დავიჭირეთ და მრავალი დავატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვევეთ. მტერმა თავისი რეზერვები მოიშველია. ბრძოლა გრძელდება. როსტოკის გზით სოფელ ორშისა და პატაკის მხრიდან მტერს უნაყოფოთ მოჰქონდა იერიში ჩვენ მიერ დაჭერილ სიმაღლეებზე. სტრიისის გზით, 1 აპრილს, მტრის განუწყვეტელი იერიში მოვიგერიეთ. კარპატების ფრონტის ყველა რაიონიდან წყალდიდობის შესახებ ცნობები მოდის. ჩვენი ფრონტის სხვა რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. შავზღვაზე ანატოლიის ნაპირებთან ჩვენმა ნაღმოსნებმა ოთხი გემი დაღუპეს, მათგან ორი ქვანახშირით იყო დატვირთული და რამდენიმე იალქნიანი გემი. ზუნგულდაკთან სროლა იყო.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 3 აპრილი. დღის ოფიციალური ცნობა. ლაბასესთან ჩვენი მძიმე არტილერიის ცეცხლით, მტრის საფარი თხრილი ოვეიერთან მთლად დავანგრიეთ. არგონის სიმაღლეზე ფონტენო—შამთან ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. ყოველ დღე ჩვენს ბრძოლას წარმატება ეტყობა. ეპარჟთან მტერმა ჩვენს პოზიციებს ყუმბარები დაუშინა. აიისის ტყეში გერმანელების თხრილის უმთავრესი ნაწილი ავიღეთ. ამ ადგილიდან ჩრდილოეთით სიგრძით 400 და სიგანით ასი მეტრის მიწა დავიჭირეთ. ესეს გზასთან ფლირეზე მორმარის ტყეში ხელში ახალი თხრილი ჩაგვრჩა. ფეანგეს მიდამოებში ბრძოლა არტილერიის ცეცხლით სწარმოებდა. 31 მარტს, ლეპრეტის ტყეში მტრის ხაზის ნაწილი დავიჭირეთ და გუშინ მოვიგერიეთ რა მტრის კონტრიერიში დაჭერილი ადგილები შევიმაგრეთ. ელზასში ლოკამიდან ჩრდილოეთით შნეპფენრიტკოპფეს გზით მეტცერალიდან სამხრეთ დასავლეთით 1500 მეტრის, მანძილზე წინ წავიწიეთ. საღამოს ოფიციალური ცნობა. არასთან ჩრდილოეთით ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ნოტრდამდელორეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქიმი ხიშტიანი იერიშით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა. ამნაირათ ჩვენ ამჟამათ ამ სიმაღლის სამხრეთ აღმოსავლეთის ობლესნენიაზერამდი მთელი საწყობები გვიჭირავს. 150 ჯარის კაცი დავატყვევეთ, მათ შორის რამდენიმე აფიცერია, სამი ყუმბარისა და ორიც ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. ტიეპავლონთან და ლაბუასელთან ალდერის რაიონში მტერი ორჯერ შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ უმალვე შეჩერებულ იქნა. არგონის სიმაღლეზე ვოგატელთან ჩვენმა არტილერიამ გერმანელების მთავარი თხრილი დაანგრია და ნერისონის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერეთ. ეპარჟთან ხუთშაბათის წინა ღამეს მტერმა იერიში მოიტანა, უნდოდა ჩვენი პოზიციის აღმოსავლეთის ქიმი წაერთმივა, მაგრამ მოგერებულ იქნა. შუადღისას მტერმა ჩვენს პოზიციებს არტილერიის ძლიერი ცეცხლი დაუშინა. მორმარის ტყეში მტრის კონტრიერიში მოვიგერიეთ.

ოსმალეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 2 აპრილი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ჭოროხისა და ზღვისპირის გზით ბრძოლა გრძელდება. სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

პარიზი. 3 აპრილი. დილით, 2 აპრილს, საფრანგეთის კრეისერმა რკინის გზის ხიდი დაანგრია, რომელიც ქალაქ აკკუს სირიის შიგნით რკინის გზის ლიანდაგს უერთებდა.

სტოკჰოლმი. 3 აპრილი. „ფორვერტსი“ თავის მკითხველებს აუწყებს, რომ, 5 აპრილს, დღევანდელ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, გერმანიაში მუშაობა არ შესწყდება, სოციალისტური გაზეთები, როგორც ყოველთვის, გამოვა, სამაისო გადასახადი ფული არავის გადახდება და აგრეთვე სამაისო გაზეთიც არ გამოვა.

ლონდონი. 3 აპრილი. ნაშუადღევს, პირველ საათზე, ზღვის მხრიდან ცეპელინი გამოჩნდა, ლაუსტაფტოვზე გადმოიფრინა, სამი თუ ოთხი ყუმბარა ჩამოაგდო. სირენის სტვენამ ცეპელინის მოახლოვების შესახებ მცხოვრებლები გააფრთხილა. სამმა ყუმბარამ იფეთქა შეშის საწყობს ცეცხლი წაეკიდა. მოკლულია სამი ცხენი და დაჭრილია ერთი დედაკაცი.

რომი. 3 აპრილი. გუშინ, სალამანდრას გარეშე საქმეთა მინისტრთან, სამხედრო და საზღვაო მინისტრებთან და მთავარ შტაბის ჯარის უფროსთან თათბირი ჰქონდა, რომელმაც დიდხანს გასტანა.

ლონდონი. 3 აპრილი. 2 აპრილს, დღის 12 საათზე, მედლდეზე ორი ცეპელინი გამოჩნდა, რომლებმაც ოთხი ყუმბარა ჩამოაგდეს. ვნება არავისთვის მიუყენებიათ. შემდეგ განბრინჯეს ესროლეს ყუმბარები, რომელიც მიდიდენიდან სამ კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. რამდენიმე სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ამის შემდეგ ცეპელინებმა ჰაერში რამდენიმე წრე გააკეთეს და მდ. ბლეკვოტერის ხაზისკენ გამართნენ.

ნიუკასტლი. 2 აპრილი. ცეპელინმა რვა ყუმბარა ჩამოაგდო შოპლინგტონისა, ბედლინგტონისა და სიტოლდელოვის ქვანახშირის რაიონებში. ნახშირის ერთ საწყობს ცეცხლი გაუჩნდა. შემდეგ ანიტოფორზე ესროლა ყუმბარები, შენობა დაზიანდა, ერთს სახლს ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ მალე ჩააქრეს. ზოგი ყუმბარა მინდორზე ჩამოვარდა. დაჭრილია ველოსიპედისტი. ცეპელინი უოლსენდისკენ გაემართა, სადაც 6 ყუმბარა ჩამოაგდო. ოთხ ადგილას ცეცხლი გაჩნდა. რკინის გზის ერთს მატარებელსაც ცეცხლი მოეკიდა, რის გამოც მატარებელს რამოდენიმე წუთით დაუგვიანდა. კაცებიდან არვინ დაშავებულა.

ლონდონი. 1 აპრილი. ფრენჩის დეპეშა გამოქვეყნდა, რომელიც ნევშაპელთან ბრძოლის დროს ზარალის რაოდენობას შეეხება. სამი დღის ბრძოლის განმავლობაში 190 აფიცერი და 8174 ჯარის კაცი დაგვეჭრა. 23 აფიცერი და 1728 ჯარის კაცი უგზო-უკვლოთ დაიკარგა. მტრის მხრიდან ზარალი დახოცილთა რამდენიმე ათიათას უდრის, 90 აფიცერი და 1657 ჯარის კაცი დავატყვევეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუმინული გაზეთების ცნობით, ავსტრო-გერმანელებმა გადაწყვიტეს ხელახლათ დაეცენ სერბიას და რათაც უნდა დაუჯდეთ გაიკაფონ გზა ოსმალეთისაკენ, რომელიც ამ ჟამათ დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი იარაღის ნაკლებულობით

——

ტრენტინიდან დაბრუნებული იტალიელი მოგზაური გადმოგვცემს, რომ ავსტრიის სამხედრო მთავრობამ საზღვართან მყოფი ყველა შენობა, რომელიც ხელს უშლიდა არტილერიის ცეცხლს, დაანგრია. ქალაქ რევერდოს აღმოსავლეთის უბანი მიწასთან გასწორებულია და მძიმე ზარბაზნების დასადგმელათაა გამზადებული. საზღვრებზე მდებარე სადგური ალღა ძლიერ გამაგრებულია.

გამოცხადდა სულთანის ირადე, რომლის ძალითაც ყველა მამაკაცი, მიუხედავათ წლოვანობისა, ვისაც თოფის ხმარება შეუძლია, უნდა ჩაეწეროს ჯარში. ასეთ პირებისაგან შემდგარი ჯარი დაიცავს მცირე აზიის ნაპირებს და დარდანელს და იქნება მილიციონერებათ კონსტანტინოპოლში.

——

ოდესიდან იტყობინებიან, რომ ადრიანოპოლს საჩქაროთ ამაგრებენ. აქ თავმოყრილი იქნება 25.000 ოსმალო; 30.000 კი კირკილისთან დაბანაკებული.

პურის ნაკლებობის გამო კონსტანტინოპოლში პოლიციელებსა და ხალხს შორის ხშირი შეტაკება ხდება. ხალხი პურს თხოულობს.

——

სტოკჰოლმიდან ცნობაა — მ. შვიდე სამხედრო ოლქის მთავარსარდალმა მიუნსტერში ექვსი გაზეთი დახურა სოციალისტურ ოპოზიციის ლიდერის ბერნშტეინის წერილის გადმობეჭდვისათვის. სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ ომის განგრძობა აწ ყოვლად შეუძლებელია და საჭიროა საჩქაროთ ზავის ჩამოგდებაო.

როგორ შეხვდა ახლანდელ ომს საფრანგეთის სოფელი.

(დასასრული იხ. № 48.)

ძალიან გამოაცა ყველა ამ პატარა დაწესებულებების შეთანხმებულათ და შეწყობილათ მუშაობამ: მათი ცენტრალიზაცია უაღრესათ არის მოწყობილი და ისეთ შემთხვევებშიაც, მაგალითად, როგორშიაც რუსეთში მთელი კვირეები და დღეები გჭირდებათ რაიმე სადმინისტრაციო საზოგადო საქმის მოსაგვარებლათ, აქ ისეა მოწყობილი, როგორც მანქანა რამ.

მიდიხართ, მაგალითად, ერთერთ სასოფლო თვითმართველობის დაწესებულებაში, წარუდგენთ გამგეს (მერს) სიას თუ არა, მაშინვე იგი დეპეშით აცნობებს პრეფექტურაში, რომ საჭირო ზომები მიიღონ; ხედავთ, ორი თუ სამი დღის შემდეგ უგზავნიან სოფელს „საჭირო საბუთებს“, რომლის ძალითაც მცხოვრებნი შეუძლიათ მიიღონ საკმაო პური და „შემწეობა“, დღეში თითო ოჯახზე ათი შაური და კიდევ თითოეულ ბავშვზე 50 სანტიმი.

არც ერთ ოჯახს, რომელიც კი სიაში არის აღნიშნული დაუხმარებლათ არ დატოვებენ და ისიც წესიერათ, აურზაურის აუტეხლათ და მოქალაქის პიროვნების შეულახველათ.

საღამოობით სოფლელები სასოფლო დუქნის წინ მოედანზე იკრიბებოდენ და ომის გამო სჯა-ბაასით ერთობოდენ; ბევრი შორეულ სოფლიდანაც იყო მოსული, რომ რუსები ენახა და მათთან ელაპარაკნა.

რუსებისადმი განსაკუთრებული თანაგრძნობა და ინტერესი მაშინ უფრო აღიძრა ფრანგებში, როცა გერმანელებმა საფრანგეთის საზღვრები გადმოლახეს და პარიზისაკენ იერიშით წამოვიდენ.

„საფრანგეთი დაიღუპება, თუ ახლა რუსებმა არ გვიშველესო“. გაიძახოდენ ამ დროს ფრანგები. და ამას იმეორებდენ არა მარტო სოფელ ბრეტანის მცხოვრებნი, არამედ ყველა სოფლები და შეიძლება მთელი საფრანგეთიც!

ფრანგების სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს, რომ რუსებმა აღმოსავლეთ პრუსიაში გაიმარჯვეს და ბერლინისაკენ მიიწევენო. ყველა დარწმუნებული იყო რუსები გაიმარჯვებდენ და ომიც ამით გათავდებოდა. იმდენათ იყვენ ისინი ამაში დარწმუნებულნი, რომ სამეურნეო მუშაობას თავს ანებებდენ და ომის ველიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს ელოდენ: მოვლენ და ისინი იმუშავებენო. ცისმარე დღე, ნამეტნავათ ქალები, მოსვენებას არ აძლევდენ მოაგარაკე რუსებს და წამ და უწუმ ეკითხებოდენ მათ: კიდევ რამდენი ვერსი დარჩა რუსის ჯარს ბერლინამდე? მალე შევსევიან ბერლინს კაზაკებიო? მარა, როცა რუსების გამარჯვების ამბები შეწყდა, მალე ფრანგების აღტაცებასაც ფრთები შეეკვეცა და ისინიც [illegible]

მარა რუსეთისადმი, როგორც მოკავშირე და მათი მფარველი [illegible] ინტერესი ისევ დიდი ჰქონდათ და ისევ კითხულობდენ: რამდენი ჯარი ჰყავს რუსეთს? როგორია რუსეთის მეფე? კაზაკები მართლა უმი ხორცით იკვებებიან? პური სამყოფი აქვთ რუსებს, თუ არა?

ამ კითხვებიდან ცხადათ ჩანდა, თუ რა აინტერესებდათ მათ რუსეთის და როგორი იმედით შეყურებდენ მას. მარა მათთვისაც გამოირკვა, რომ ომი არ თავდება და ხანგრძლივ ხასიათს ღებულობს იგი... და სოფლის ცხოვრებამაც ჩვეულებრივი სახე მიიღო: მუშაობას შეუდგენ ისევ და ჯარში წასულ ნათესავ-ნაცნობების ამბებს კითხულობდენ, მათი „ბედით და უბედობით“ ეწვოდათ გული. მალე დაჭრილებიც მოიყვანეს ამ სოფელში და ყველა ახმაურდა: ყველას უნდოდა მოესმინა ბრძოლის ველიდან მოსულების და ბრძოლის ცეცხლში გამოვლილების ენით მოთხრობილი ამბები. ყველა სოფლელი სიამოვნებით ეპატიჟებოდა თავის სახლში, რომ მისი ამბები გაეგონა; და ისინიც მოუთხრობდენ მათ, რაც კი გამოევლოთ, ენახათ ან გაეგონათ. ისინი უმეტესათ უამბობდენ მათ გერმანელთა მხეცური მოქმედების ამბებს: თუ ნემცებმა ქ. ლუვენში როგორ დახვრიტეს 4 წლის ბალღი; თუ როგორ დაუთმეს ფრანგებმა ნემცებს ერთ-ერთი პოზიცია იმის გამო, რომ გერმანიის ჯარს ფრანგ ქალებისა და ბავშვების ჯგუფები დაეყენებია წინ და ისე მოჰქონდა იერიში... მალე ხმა გავარდა, რომ გამოქცეული ბელგიელები მოჰყავთ ამ სოფელში დასახიზნებლათო. მართლაც მალე მოიყვანეს ბელგიელთა ქალები და ბავშვები. არ დარჩა არც ერთი გლეხის ოჯახი, რომ წინადადება არ შეეტანოს: ბელგიელი ჩემსას დააბინავეთო. საშინელ ამბებს მოუთხრობდენ ხალხს ბელგიელთა, აწიოკება-დარბევის შესახებ. მაგალითად, ყოფილა ასეთი შემთხვევა ერთ ბელგიელ დედას ყოლია ექვსი შვილი და როცა მტრის შემოსვლის გამო გაქცევა დაუპირებია და სადგურზე მსულა, ვაგონში ექვსი ბავშვიდან მხოლოდ სამის შეყვანა მოუსწრია ხოლო მეორე სამი ადგილზე დარჩენია. რა მოუვიდა შემდეგში მათ ან რა უყვეს გერმანელებმა ბალღებს, გაწამებულმა ამაზე არაფერი იცოდა.

ასეთი და მრავალი ამის მსგავსი და კიდევ უარესი ამბებით იკვებებოდენ სოფლელნი და ოფიციალური მშრალი ცნობებით რომ ვერ კმაყოფილდებოდენ, მათი ფრანგული ფანტაზია ათასგვარ სურათებს და შემთხვევებს ხატავდა: ყოველდღე ათასგვარი ხმები და ჭორები ითხზვებოდა და სოფელს ეფინებოდა.

ახალგაზდობას.

(პროფ. ოზეროვის ლექციიდან),

გათავდება ზაფხული თუ არა, ახალგაზდობა მიდის აუდიტორიებში; პირველად აუდიტორიები ვერ იტევენ ყველა მსურველთ—ასეთია სულიერი სიმშილი სამოსწავლო წლის დასაწყისში.

მაგრამ მალე ხმაურობისა და სიცოცხლის ნაცვლად ზოგიერთ აუდიტორიებში მყარდება სიცარიელე და სამარისებური სიჩუმე.

რით აიხსნება ეს? უნებურად გებადება საკითხი—ისე ასწავლიან ახალგაზდობას, როგორც საჭიროა? აძლევენ მას ნამდვილ პურს და არა „ქვას უჩეჩებენ ხელში“? მართლაც და, ჩვენ ვხედავთ, რომ სწავლება ზოგიერთი საგნისა უმაღლეს სასწავლებელში დაყენებულია სქოლასტიურად, უსიცოცხლოთ. სრულიად არ უწევენ ანგარიშს ახალგაზდობის მოთხოვნილებებს, მის ინტერესებს და აწვდიან მას, რასაც აწვდიდენ ამ 100--200 წლ. წინათ. ჩვენი ახალგაზდობის უკულმართი გამოზდით ჩვენ გვემატებიან სუსტნი, გონებით მშრალნი, უილაჯონი და ისეთნი, რომელთაც ხშირათ არ იციან რა უნდა აკეთონ და რა დანიშნულება აქვთ მათ. ჩვენ ვხარჯავთ შემოქმედებითი ძალას ქვეყნისას.

ახალგაზდობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აქტიური მუშაობა, მან აქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა ცხოვრების შემოქმედებაში, ჩვენ კი მას ხელოვნურად ვაყენებთ გარეშე ამ შემოქმედებისა, როდესაც ვაწვდით მშრალ სქოლასტიკას.

ჩვენ არ ვაღვიძებთ ახალგაზდობაში შემოქმედებითი იმპულსებს, არამედ ვკლავთ—ისეა დაყენებული სწავლის გეგმა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, საჭიროა მეტი შეთვისება ცხოვრებისა მაშინაც კი, როდესაც მოსწავლე ახალგაზდობა სკოლაშია. დაე, თვითონ ახალგაზდობა შეეჩვიოს ცხოვრების შეგნებას, იგრძნოს მან სიმშვენიერე აქტიური გამოსვლისა (მე ვლაპარაკობ განსაკუთრებით ეკონომიურ მხარეებზე). ამ მიმართულებით უნდა მიდიოდეს სკოლა. ის უნდა ამზადებდეს ცხოვრების მხატვრებს.

სკოლაში უნდა ასწავლოთ ცხოვრება. მე მარტივად ვისაუბრებ თქვენთან, მე მინდა შეგიყვანოთ თქვენ ცოცხალ, მღელვარე საკითხების სფეროში ჩვენი ცხოვრებისა. ბოტანიკოსი გიწვევთ თქვენ გასასეირნებლად ტყე-ველად; მეც მინდა გაგატაროთ თქვენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების სარბიელზე.

თქვენ—მომავალი მებაღეები ხართ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ფლორისა და შეისწავლეთ იგი... ჩემი აზრით, მასწავლებელია თვით ცხოვრება და ჩემი მიზანია მხოლოდ მოგამზადოთ საკითხავად ცხოვრების დიდი წიგნისა; სწორეთ ამიტომ მე უნდა გაჩვენოთ თქვენ, რომ ამ წიგნის ძველის ძველსა და გაყვითლებულ ფურცლებში, სადაც ჩახატულია ქარხნები, მუშები, მთანი და ველნი, იმალება წარმტაცი, დრამატიული შინაარსი.

როდესაც დაკვირვებით შეისწავლით ამ წიგნს, თქვენ ნახავთ, რატომ არის ზოგი ქვეყანა მდიდარი, ზოგი—ღარიბი, რატომ არის, რომ ზოგი ქვეყნის ხალხს აქვს ლეგენდარული ძალა...

შეკრებილხართ თქვენ, ახალგაზდანო, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. თქვენ მოსწყდით სიმშვენიერეს, სილამაზეს... აქ თქვენ წინ სდევს სქელი წიგნები, ციფრებით, იქ კი ბრწყინვალე მზე, ლაჟვარდი ცა, კეთილსურნელოვანი ყვავილები, თეთრი ღამეები... რათ მოსულხართ აქ, ვიწრო აუდიტორიებში, რათ მოშორებიხართ საამურ ტყე-ველს, ლამაზ ბუნებრივ ბაღებს...

ზოგიერთი თქვენგანი მოსულა აუცილებლობის გამო—ცხოვრებაა საჭირო, საჭიროა მასალა არსებობისათვის. მართალია, უნდა იშოვოთ ფული, მაგრამ არა მარტო პურით ცხოვრობს ადამიანი, არამედ ცოდნაც ხომ გაძლევთ თქვენ საშუალებას, რომლის წყალობითაც თქვენ შეითვისებთ ცხოვრების სიმშვენიერეს. უმეცარ ცხოვრებაში წარმოუდგენელია სიცოცხლე. თვით მეცნიერებაც კი სილამაზეა... ოღონდ შეიძლით მისი შეთვისება და მაშინ ლამაზად მოართავთ ქვეყანას. რამდენი სილამაზეა შრომაში, ძალ-ღონის შეგნებაში!.. მაშ, იშრომეთ გაბედულად და თქვენ იქნებით გამარჯვებულნი... სთესეთ თქვენს სულში თესლი ცოდნისა და მშვენიერებისა, ასაზდოეთ სილამაზე.

როდესაც დაათრობთ თქვენ სულს მშვენიერებით, და გახდებით მის სხვების მიმზიდველად, სხვებიც მიეცემიან განცხრომას იმ სურნელებაში, რომლითაც გარემოცული იქნება თქვენი ლამაზი სული. ეს სილამაზე, ეს მშვენიერება—დიადი საზდოა სულისა, წარჩინებულთა სული იკვებებოდა სილამაზით, დიადი ზრახვანი მთის მწვერვალებზე იბადებიან. ფიქრი ადამიანისა ფაქიზდება ჩრდილოვან ხეივნებში, მთის ჩანჩქერის ნაპირას... სილამაზე—წინამორბედია შრომისმოყვარეობისა...

მერე რამდენი სილამაზეა ადამიანებში, მათი სულის თამაშში, მათი ტანის ხაზებში... ეძიეთ ყველგან ეს სილამაზე და შეკრებილი თქვენში ეს სილამაზე, დაე, იქცეს აზრად, ლამაზ საქმედ.

მე თქვენ მოგმართავთ, ახალგაზდებო! თქვენ ეს-ეს არის შედიხართ ცხოვრებაში. თქვენ წინ – ფართე ველია, თქვენ—ჭაბუკნი ხართ, სისხლით გიდუღთ მკერდში, გული ძალუმათ გიცემთ!!!

თქვენ ჯერ კიდევ ატარებთ რწმენას თავის თავზე, რწმენას, რომელიც ლერძია სიცოცხლისა! მიმოიხედეთ თქვენ გარშემო, რამდენ მშვენიერებას და სილამაზეს წარმოადგენს ცხოვრება! რა სხვადასხვაობაა ცხოვრების ფორმებისა, რამდენი რაღაც წარმტაცი და ამოცანასებური შეგროვილა ადამიანის არსში!!! და თქვენ, როცა შეხვალთ ცხოვრებაში, შეგიძლიათ ყველაფერი ეს დაიპყრათ: თქვენ შეგეძლებათ დასტკბეთ ცქერით ლაჟვარდი ცისა, აბობოქრებული ზღვისა, ჩასწვდეთ ადამიანის სულს და ისარგებლოთ იქ ჩაქსოვილი განძით—სილამაზით. იყავით ბუნების დამარცხებელი, აჯობეთ მას!..

მართალია, ჩვენი საშუალო სკოლა ბევრს არ იძლევა, მაგრამ თქვენ ხომ ჯერ ისევ ახალგაზდები ხართ, ღონიერნი. უწინარეს ყოვლისა ნუ ჩაიქრობთ ღვთაებრივ ცეცხლს, რომელიც ღვივის თქვენს გულში და ურომლისოთაც არ შეიძლება ბრძოლა ბუნებასთან. გააორკეცეთ თქვენი ნებისყოფა. აღიჭურვეთ ფოლადის ნებით. განდევნეთ ძილი თვალთაგან, გამოიღვიძეთ!. შეიყვარეთ შრომა—რამდენი სილამაზეა მასში?!

შრომა და ნება თქვენ მოგცემთ უფლებას, რომ გაიმარჯვოთ ცხოვრებაში. დიდებული ადამიანები, რომლებმაც შეჰქმნეს ისტორია, თავიანთი ნების-ყოფით იყვნენ დიადნი. მოიგონეთ ქრისტე, მოსე, ნაპოლეონი, ბისმარკი, პეტრე დიდი, ქართველთა გამანათლებელი ნინო...

უნებოთ ცხოვრებაში ყოფნა მოსაწყენია. ისწავლეთ მუშაობა—მუშაობა გაღირსებთ თქვენ გამარჯვების გვირგვინს... და თქვენი სიტყვის ბრძანებით აყვავდება სუსხიანი ჩრდილოეთი, თქვენ წინ დავლურს ჩაუვლის მშვენიერებით წარმტაცი გუნდი ქალწულებისა და გეტყვით მიწა თქვენ: „მე თქვენი ვარ, მიპატრონეთო“!..

რა მოგელით თქვენ, თუ კი არ იმუშავებთ? არ გექნებათ გასაქანი ცხოვრებაში, არ იქნებით ლამაზნი. რაც გუშინ იყო—ხვალაც ის იქნება, ზეგაც... რა მოსაწყენი და აბეზარია ასეთი ცხოვრება!!! არა, ჩვენ გვჭირია მომუშავე ხალხი, ხალხი ძლიერი ნებით, ჭკუით, გრძნობით... მე თვითონაც მსურს შრომა და მინდა თქვენც შეგაყვაროთ იგი შემოქმედებითი ძალით. მე ვშიშობ, ვაი, თუ გვიან არის-მეთქი, მაგრამ ვემორჩილები ჩემს აზრს, მე მივყვები მის ბრძანებას. ადამიანები ჰქმნიან თავიანთი აზრით, ისინი ძლიერნი არიან მხოლოდ ნებით და აზრით. აზრი იგი თუ ხანდახან შხამავს ხოლმე ცხოვრებას, სამაგიეროთ ჰქმნის კიდეც მას. დაე, იჩქეფოს აზრმა, როგორც ღვინომ ტურფა, ძველი კოლხიდისამ. ჩვენ კი დავსტკბეთ მისი ჩქეფითა და თამაშით.

ამბობდენ, მაგალითად, რომ ტიურპენის ყუმბარებით დღეში ათი ათასობით ნემეცს ჟლეტავენო. ეს ის წამალია, რომლის კვამლის სუნი მეომარს ადგილზე აშეშებს და ელვის სისწრაფით ჰკლავს. მათი სიტყვით ტიურპენი თურმე ბრძოლის ველზე ცალკე კარავშია მოთავსებული და დარაჯთა ძლიერი რაზმი მუდამ გარს არტყია; იქ ის მარტოთ მარტო უკეთებს ყუმბარებს თავის გამოგონებულ ქიმიურ საწამლავს, რომლის საშუალებით გერმანელებს მუსრი უნდა გაავლოს და თუ დღემდე მიზანს ვერ მიაღწია ეს იმიტომ, რომ მან თანაშემწეთ არავინ არ აიყვანა, რადგან საიდუმლოს გამჟღავნების ეშინია. ამის გამო საქმე ძალიან ნელა მიდის და მეტათ ბრკოლდება იგი, რის გამოც მიზანი დღემდე შეუსრულებელი დარჩა. ასე თავისებურათ ხსნიდენ ფრანგი სოფლელნი გერმანელების შემოსევის შეჩერებას საფრანგეთში. ერთ დღეს ხმა გავარდა მახლობელ სამხედრო ნავთსადგურში, სანტ-ნაზარში რუსის ჯარი გად მოიყვანესო, ამას ისე დაბეჯითებით ამბობდენ, რომ ბევრმა მართლაც დაიჯერა და ხსენებულ ნავთსადგურში გაემგზავრა, რომ იქ თავის თვალით ენახა საფრანგეთის მხსნელი **„რუსის ჯარი“**. ასე გვისურათებს კორესპოდენტი რუსი-ქალი საფრანგეთის სოფლის დარჩენილ მცხოვრებთა სულიერ ვითარების ახლანდელ ომის დროს.

შეადარე, მკითხველო, ჩვენი სოფლის დღევანდელი ვითარება მას და ნათლათ დაინახავ, რომ მათ შორის მხოლოდ ის მსგავსებაა, რომ იქაც და ჩვენშიაც სოფლელთ (თუმცა არა მარტო სოფლელთ, არამედ ჩვენებურ ქალაქელთაც: მოიგონეთ თფილისელებისა და ქუთაისლების „ხმები“, „ჭორები“ და „შიშიანობა“ თათრები შემოსევის გამო დეკემბერში). „ხმებს“ ცნობების გაზვიადება და ჭორები ერთნაირათ ყვარებიათ.

დ—ელი.

ნარკვევი.

„თანამედროვე აზრი“ ეხება რა ეგრედ წოდებულ „ყვითელ პრესას“ (მოსყიდულ პრესას) სწერს.

ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლაა. ხოლო პრესა ამ ბრძოლაში მეტათ მჭრელი იარაღია, ამიტომაც არის რომ ყველა ცდილობს ის თავის ინტერესებისათვის გამოიყენოს.

მარა გამოყენებაც არის და გამოყენებაც. მშრომელი ხალხის მიზანია ყოველნაირი ბოროტების მხილება. მეტი სინათლე ყოველთვის და ყოველგან—აი რას ეტრფის ის. მარა არიან ისეთი ჯგუფები და კლასები, რომელთა ფრთის გასაშლელათ წყვდიადი საუკეთესო ნიადაგია. მაშინ ისინი ადვილათ აჭახრაკებენ თავის საქმეებს.

მერე რა გზით შეიძლება სიმართლის დათვარვა?

გზა მრავალია. შეიძლება პრესა აიძულო საყურადღებო საკითხს არ შეეხოს. ასეთი ჩაჩუმება ხშირი მოვლენაა არა თუ ევროპაში, სადაც ლითონი ბურჟუაზიულ მწერალთა კაბინეტში გზას ადვილათ იკაფავს, არამედ ჩვენშიაც, სადაც ჯერ კიდევ სუსტია კაპიტალიზმი და მისი ძალა-გავლენა საზოგადოებაში. აბა დააკვირდით გაზეთებს და თქვენ ადვილათ შეამჩნევთ, რომ მრავალ საჭირბოროტო საკითხს გვერდს განზრახ უვლიან, არავინ გავაჯავროთო. მრავალი გაზეთი სდუმდა, სანამ თფილისის მოქალაქეთა წინაშე ტრამვაის გამოყიდვის საკითხი იდგა. ხოლო ამეტყველდა, როცა ბრძოლა ბელგიელებმა მოიგეს. გავლენიან ჯგუფთა და თავისიანთა მთელი მოღვაწეობის მიფუჩეჩება და ლაქიაობა წინაშე ძლიერთა ამა ქვეყნისა—აი რა ახასიათებს ბურჟუაზიულ პრესას მცირე გამონაკლისს გარდა“.

ვეთანხმებით პატივცემულ გაზეთს, რომ დიდი საზიზღრობაა, არა! მარტო საზიზღრობა კი არა, მომაკვდინებელი ცოდვაცაა, როდესაც პრესა ივიწყებს თავის წმინდა მოვალეობას—ხალხის გამოფხიზლებას, ხალხის სამართლიანობისა და ბედნიერების გზაზე შეყენებას—და ბინძურ ქვენაგრძნობებს ემსახურება. აკი იმიტომაც დაარქვეს ასეთ პრესას სამარცხვინო სახელი „ყვითელი პრესა“, მაგრამ რაღა უნდა ეწოდოს ისეთ პრესას, რომელსაც ხალხის მესვეურათ მოაქვს თავი, მაგრამ ამავე დროს **ავრცელებს ათასგვარ ცილის-წამებას, ალიზიანებს თავისს მკითხველებს, აბეზღებს** მასთან ქვეყნისათვის ნამდვილ გულშემატკივართ, ალალსა და თავდადებულ მუშაკებს და თავის გაბატონებისათვის არ ერიდება არავითარ საშუალებას?

ახალი ამბავი.

ქუთაისის გუბერნატორმა და იმ კომისიამ, რომელმაც 2 აპრილს წყალტუბოს მინერალური წყალი და მიდამოები დაათვალიერა, საავადმყოფოების მოსაწყობათ მოიწონა.

✦ ექიმმა ნაზაროვმა პეტროგრადს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სასახლის ლეიბმედიკს პროფესორ ფედოროვს შემდეგი დეპეში გაუგზავნა:

ქუთაისის გუბერნატორისა, სახაზინო პალატის უფროსისა და ქალაქის მოურავის წინასწარი მოლაპარაკებით და საგუბერნიო ინჟინრის გამოანგარიშებით, წყალტუბოში საავადმყოფოს მოწყობა 2,000 საწოლით დაჯდება 775,000 მანეთი, აქედან ხის შენობის ასაგებათ 250,000 მანეთი. სამუდამო ვანების მოსაწყობათ 110,000 მ. ელექტრონული განათებისათვის 35,000 მანეთი, წყაროების გაწმენდისა, ადგილების გაშრობა და სასმელი წყლის გასაყვანათ 80,000 მანეთი.

საჭიროა აგრეთვე მემამულეებიდან ადგილების შეძენა ან იჯარით, აღება. მემამულეების სიტყვით მინერალური წყალი წლიურათ წმინდა შემოსავალს იძლევა 10,000 მანეთს. ყველა ამ საქმეების მოსაგვარებლათ საჭიროა შესდგეს კომისია მთავრობის დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან ბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით.

ადგილობრივ მუშაობას რაც შეიძლება მალე უნდა შეუდგენ. ბ. გუბერნატორი შესაფერ შუამდგომლობას აღძრავს.

✦ 3 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება შესახებ იმისა, რომ ეთხოვოს ქუთაისის გუბერნატორს, რათა მან შუამდგომლობა აღძრას კავკასიის სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის მთავარ უფროსის მისი იმპერატორებითი უმაღლესობის პრინც ა. პ. ოლდენბურგის წინაშე, რათა მან ნება დართოს ქუთაისში გადამდებ სახადიან ავათმყოფთათვის საავადმყოფოს აგებაზე.

✦ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის რევიზორათ საქართველოს ეგზარხოსმა პიტირიმმა დანიშნა თფილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი სმერდინსკი. ბ. სმერდინსკი ქუთაისში უკვე ჩამოვიდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

✦ პარასკევს, 3 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქუთაისის ქალთა საზოგადოების კრება. კრებას დაესწრო აგრეთვე გარეშენიც. კრებამ თავჯდომარეთ აირჩია ი. ს. ფანცხავა, მდივნათ კი ბ. მჭედლიძის ასული.

დიდი კამათი გამოიწვია აკაკის ძეგლის ასაგებათ ფულის შეგროვებამ. გამგეობას უნდოდა აერჩია კომიტეტი, რომელიც ფულის შეგროვებას შეუდგებოდა, მაგრამ ამაზე საზოგადოებამ უარი განაცხადა და გამგეობას მიანდო, რომ ფულის შეკრების შესახებ მთავრობიდან ნებართვა აიღოს.

გამგეობამ აგრეთვე სურვილი გამოსთქვა, რომ რამდენიმე პროცენტი შეგროვებული ფულიდან საზოგადოების სკოლისათვის მოეხმარებიათ, მაგრამ ამაზედაც უარი მიიღეს.

შემდეგ ითათბირეს ჯარში გაწვეულ მეომართა ოჯახების ბავშვებისათვის სასადილოს მოწყობაზე. როგორც ვიცით ამ სასადილოსთვის ფულს ხაზინა გაიღებს. კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ სასადილოთი ვინ უნდა ისარგებლოს. კომისიის წევრებათ აირჩიეს: ქ. ქეთ. ჩიქოვანისა, ეფ. კანდელაკისა, მარიამ თაყაიშვილი, ნოე ჩხიკვაძე, ტუტკუ გვარამია, ბაბუცა მჭედლიძის ასული, მ. კვიცარიძისა, მ. კაკაბაძისა, ნ. ნიჟარაძისა, ნ. გიორგაძისა, თ. ტუსკია, ლ. ქებაძისა, მ. შელია და ანნა მგალობლიშვილი.

✦ ამ დღეებში დ. ხონის ბაღში გაიმართება ლატარია-ალეგრა ადგილობრივი გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

✦ როგორც გავიგეთ გადაცვალებული დეპუტატის ვ. ლ. გელოვანის მეუღლე კარგათ იმყოფება. მას განზრახვა ჰქონია პოზიციებზე სათნოების დათ კვლავ წავიდეს.

✦ არქიელის გორის მცხოვრებლები ამჟამათ უფარნობის გამო დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან. თუ სადმე ორი-სამი ფარანი მოიპოება, იმასაც კვირაში ერთხელ თუ აანთებენ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

✦ ლონდონიდან შემდეგი წერილი მივიღეთ! „ომისა და საერთო სიძვირის მიუხედავათ, ჩვენ დიდძალი აბრეშუმის თესლი გამოვგზავნეთ თბილისში, საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა, წმინდა ცელულიარული, საფრანგეთის მთავრობისაგან შემოწმებული და საფრანგეთის სამეურნეო სამინისტროს ბანდეროლით. ამ თესლით მოყვანილი პარკი 10 პროც. მეტს რანდემანს იძლევა და ძლიერ კარგი ღირსების არის. თითო კოლოფი შეიცავს 7 მისხალ თესლს და ძლიერ პირიან ფასებში იყიდება. გთხოვთ დააჩქაროთ ყიდვა! თესლის შეძენა შეგიძლიათ: თბილისში, ტ. ლამბაშიძესთან, ლალიძის ქარხანაში, გოლოვინის პროსპექტზე № 6; ქუთაისში, ისიდორე კვიცარიძესთან, „იმერეთის“ კანტორაში. ამავე პირთ შეგიძლიათ შეეკითხოთ ფასის შესახებ.

✦ ჯაჭვის ხიდთან ახლო ქუჩაზე დიდი სიბინძურეა. რაჭა ლეჩხუმიდან ჩამოყვანილ ეტლებს ქუჩაში აყენებენ და ცხენები იქაურობას აბინძურებენ. იქვე იმყოფება ჩაჩხიანისა და ლეკვიშვილის თავლა, საიდანაც მდ. რიონში ყოველგვარი უსუფთაობა ჩადის. კარგს იზამენ ქალაქის სანიტარები ამ ადგილს დაათვალიერებდენ და რიონის პირად თავლას დახურავდენ.

✦ დ. ხონში აჭარლების დასახმარებლათ ფულს აგროვებენ.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეებს ზეპირ საგნებში გამოცდები დაეწყებათ 6 აპრილს; მეექვსე კლასის მოწაფეებს კი 8 აპრილს. გამოცდები მაისის შუარიცხვებამდის გაგრძელდება.

თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში შესდგება უკანასკნელი გასტროლი ჩვენი ნიჭიერი და დამსახურებული მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის ასულისა. წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა **„ქალის სამშობლო“** ანუ „მშობლიურ ჭერს ქვეშ“ თარ. ვალ. გუნიას მიერ. პიესაში მონაწილეობას მიიღებს ამხანაგობის დასის საუკეთესო ძალები. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ორშაბათიდან ჩვენი დასი შეუდგება **„იუდას მემკვიდრეს“** მზადებას, რომელიც განზრაგულია ორჯერ ზედიზედ წარმოადგინონ ჩვეულებრივ ფასებში, ამ პიესისათვის იხატება ახალი დეკორაციები და იკერება ტანისამოსი.

სიძვირის საკითხი.

რაზედ უნდა იფიქროს და ილაპარაკოს დღეს ადამიანმა თუ არა ჩვენს დუხჭირ და აუტანელ მდგომარეობაზე.

უმაგალითო და უსასტიკესი ომი.

უდიდესი საქვეყნო მსხვერპლი და გასაჭირი.

თანდათან ნათელი შეიქნა ჩვენი უმწეო მდგომარეობა. ვისაც გული და გრძნობა აქვს, მას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს.

მერე სადაა, ბატონებო, ეს გული და გრძნობა?

ქუთაისის ვაჭრებს ბრალდება წარუდგინეს.

რამოდენიმე წერილი იყო მოთავსებული გაზეთ „სამშობლოში“ შაბიამნის შესახებ, რომელსაც ქუთაისში 14 მანეთად ჰყიდიან.

ეს დიახ, რომ ბრალდებაა თავისი საშინელი სინამდვილითა და შინაარსით.

ნუ თუ ესაა, ბატონებო, დღევანდელი ჩვენი მოვალეობა? ქუთაისის ვაჭრებში მე ბევრს ვიცნობ იშვიათის პირადი ღირსებით შემკულს, დაიცავით, ბატონებო, თქვენი სახელის ღირსება მაინც.

ეს საყოველთაო ბრალდებაა. საჭიროა გამონახვა საშუალებისა სინამდვილის გამოსარკვევად. ბევრს არ შერჩენია შარშანდელი შაბიამანი და ახლა ყიდულობენ მეორე-მესამე ხელისაგან მეტ ფასებში, რასაკვირველია, ამიტომ საჭიროა გამოარკვიოთ თქვენ თვითონ ვისა აქვს დარჩენილი შარშანდელი საქონელი, რანაირი სინიდისიერი ფასი უნდა დაედვას მას და დააწესოთ ერთგვარი ნიხრი—მაზანდა დროისა, მდგომარეობისა და მოვალეობის მიხედვით.

ამისი შესრულება შეიძლება საიმედო და მომქმედ კომისიის არჩევით, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ადმინისტრაციის დახმარებით.

ეს უდიდესი საკითხია ჩვენი დაბეჩავებული მევენახეობისათვის და სოფლისათვის. იმ საბრალო სოფლისათვის, რომელიც უკვე გამოიწვია ქალაქმა ბრძოლაში და დღეს ყველა მოქალაქე კარგადა ვგრძნობთ ამ ბრძოლის ნაყოფს.

ექვსი კვერცხი—აბაზი. წიწილი 25 კაპ.—60 კაპ. ვარია 1 მან. დედალი 1. 50—1. 40 კ. აი, რით უპასუხა სოფელმა ქალაქს. ვერც გაამტყუნებთ. რაქნას უმწეო გლეხმა? კოლოფ „სპიჩკაში“ ოთხ კაპიკს იხდის კაპიკის ნაცვლად. გირვანქა საპონში 8—10 კაპ. მაგიერ 20 კაპ. აძლევს. ყველაფერს, რასაც-კი ხელს მოჰკიდებს და ფასს იკითხავს თითები აუკანკალდება და საყიდელს თავს ანებებს, სანამ უკიდურესათ არ გაუჭირდება.

ყველაფრის გაძვირებაში მთლიანად ვაჭრებს ბრალი არ მიუძღვით, ამას თავისი რთული და საპატიო მიზეზი აქვს, მაგრამ ვიკმაროთ, ბატონებო, ეს აუტანელი მდგომარეობა და შაბიამნის ასეთს გაძვირებას-კი მეტის ყურადღებითა და სიფხიზლით მოეკეცით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ულ[illegible] ქალაქის გამხმარი სული სოფლის კეთილდღეობაშია და ნუ [illegible] ბატონებო, ამ კეთილდღეობას [illegible] ხელს, თორემ ერთის [illegible]საც დაღუპავს!..

ჯაფარ—ფაშა.

საჭიროა საქმიანი მუშაობა.

ჩვენში ვინც კი სკოლის კარებს ნახავს და სკოლის გარეთ ორიოდე ორ კაპიკიან წიგნაკს წაიკითხავს, თავი განათლებულ ადამიანათ მოაქვს და ინტელიგენტის სახელს ირქმევს. თუ გაზეთში ლექსი მოათავსა და ან რაიმე სხვა წერილი, ამის შემდეგ მედიდურობს კიდეც და თავის თავი იმდენათ განვითარებულათ მიაჩნია, რომ არც ერთს წიგნს არ წაიკითხავს. მასში იბადება იმის სურვილიც, რომ მოიპოვოს საზოგადო მოღვაწის სახელი და ამ მიზნით ინტელიგენტთა კრებაზე პრტყელ-პრტყელი სიტყვებით ცაში კოშკებს აშენებს.

მეურნეობასა და ვაჭრობაში მუშაობა სამარცხვინოთ მიაჩნია ასეთ ჯურის ინტელიგენტს და ან კი როგორ არ უნდა მიაჩნდეს. ადამიანს ორ-კლასიანი ან სამოქალაქო სკოლა დაუსრულებია ან გიმნაზიის მესამე-მეოთხე კლასიდან გამოსულა და ვაჭრობასა და მეურნეობაში გაისვრის ხელს? ურჩევნია მას სიმშილით მოკვდეს და ან 25 მანეთიან ჩინოვნიკათ დარჩეს, ვიდრე აქ იმუშაოს. ყვითელი ფოლაქები და კაკარდა ფორმის ქუდით მისთვის ყველაფერია და ამ მიზანს რომ მიაღწიოს საზოგადო მოღვაწეობასაც იწყებს. დიახ, ადგილის შოვნისათვის საჭიროა საზოგადო მოღვაწეობა და ასეთი მოღვაწეებიც ამ უკანასკნელ ხანებში ერთობ გვიმრავლდება. ფაფხურობენ, ყვირიან, გვგონებათ საზოგადო საქმეზე მართლა შესტკივათ გულიო, და ამას სჩადიან არა იმიტომ, რომ საზოგადო საქმეს სარგებლობა მოუტანონ, თავისი კერძო ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის.

არის კიდევ ჩვენში სხვა ჯურის ინტელიგენტებიც, მათ უფრო მეტი ესმისთ. უფრო მეტი ცოდნა აქვთ და უფრო ნაკლებათაც ამაყობენ და მედიდურობენ ამ ცოდნით. საზოგადო საქმეზე ეს ინტელიგენტებიც ბევრს გაყვირიან, თუმცა რამდენსაც ლაპარაკობენ, იმდენს არას აკეთებენ. თფილ ადგილებს ეს ბატონებიც ეძებენ და როდესაც ხელში ჩაიგდებენ საზოგადო საქმისათვის ნაკლებათ ზრუნვენ. თფილმა ადგილებმა არა ერთი და ორი სასარგებლო მოღვაწე წაართვა ქართველ ერს და არა ერთი და ორი მწერალი ჩამოაშორა ქართულ მწერლობას.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს თავზე დამტყდარი სხვადასხვა უბედურება თვალს უხელს ქართველ ერს და ამის შემდეგ, თუ ბევრი არა, ცოტა მაინც, არჩევს მტერს მოყვარესაგან. საღი გონიერებითა და სწორი აზროვნებით აღჭურვილნი ხედვენ ჩვენს ცხოვრებას, ეცნობიან ხალხს და იგებენ, თუ რა სჭირია ქართველ ერს და რანაირი მოღვაწეობაა საჭირო, რომ ქართველი ერი სხვისი დასაწიხლი არ გახდეს, ასეთი პირების რიცხვი, მართალია, ძალიან ცოტაა, მაგრამ არის იმის შანსები, რომ ეს ცოტა მალე ბევრათ გადაიქცევა. ცხოვრება თავისას იქმს და ის, რაც ვერ შეიძლო ჩვენმა პრესამ, შეიძლებს ცხოვრება და ხალხს თვალს აუხელს.

პროცესი სალათას ძილიდან გამორკვევისა დაწყებულია და აქაა საჭირო ხელმძღვანელი ხელი, რომ ეს პროცესი, რაც შეიძლება, ადრე დასრულდეს. არის ჩვენში თითო-ოროლა საღი ინტელიგენტი და მათი ვალია, რომ მედგარი, შეუპოვარი და შეუდრეკელი მუშაობა გასწიონ, გარშემო შემოიკრიბონ უფრო მეტი ძალა, დატრიალდენ ხალხში ნამდვილი მუშაობის გასაჩაღებლათ.

* * *

ჩვენი ქვეყანა რომ ბუნებით უხვათ დაჯილდოებულია და მდიდარი ქვეყანაა, დღეს ეს არა თუ ქართველისათვის, ყველა უცხოელისათვისაც კი ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ-ორი-ოთხი, ჰავა, მიწის მდიდარი ნიადა-

---

მე თქვენ გიხმობთ, ახალგაზდანო, საერთო გზაზე, გიძახით საზოგადო შრომისაკენ, შემოქმედებისაკენ... მე თქვენ გადმოგცემთ მას, რაც მასწავლეს ბუმბერაზმა მთებმა; მე გადმოგცემთ მას, რაც მაგრძნობინა ზღვამ, მძლავრმა ზღვამ თვის სამუდამო ტალღათა ბობოქრობით; მე გადმოგცემთ მას, რაც კეთილსურნელოვანმა მაგნოლიებმა ჩამიჩურჩულეს ყურში მწუხრის ჟამს; მე გადმოგცემთ მას, რაც შემომყივლეს არწივებმა ცის გუმბათიდან, როდესაც მე, ბედნიერი დავხეტიალობდი შვეიცარიის მთების მწვერვალებზე; მე გადმოგცემთ მას, რაც მამცნო მთვარემ, ოდეს ეტრფოდა ლაღ ზღვას და ეხვეოდა მაღალ ხეების კენწეროებს!

ჩვენ უნდა ვისწავლოთ არა მარტო წიგნებიდან, არამედ ცხოვრებიდან, ბუნებიდან...

აიღეთ თქვენ თანამგზავრად აზრი და, მასზე დაყრდნობილი, იარეთ წინ, დასხედით კლდეებზე, მისი ქვის ნაოჭებიან ტანისამოსის ქვეშ და ეკითხებოდეთ მას, ჩაიკარით მძლავრად გულში; გაიჭერით ტყე-ველად, უმზირეთ ცას, მზეს.. დაუახლოვდით ბუნებას და იგი გასწავლით მას, რაც ღირებულებას წარმოადგენს თქვენთვის ცხოვრებაში. არც მე მიცხოვრია ისე, როგორც საჭირო იყო და ჩემი ტანჯვანი, მწუხარებანი, სასოწარკვეთილებანი მე ჩავაქსოვე ჩემს რამოდენიმე ნაწარმოებში...

ჩვენ შეგვიძლია გაყინული ადამიანი გავათბოთ, მშიერნი გავაძღოთ, უსახლ-კაროთ მივცეთ ბინა, თუ კი ჩვენ განვავითარებთ შემოქმედებითი ძალას ჩვენის ქვეყნისას, თუ კი გავაღვიძებთ ჩვენს მიძინებულს სიმდიდრეს, თუ კი ჩვენ გაგვიტაცებს შემოქმედება. და მე თქვენ გიწვევთ შემოქმედებისაკენ, მე მინდა თქვენში ჩავნერგო იმპულსი შრომის-მოყვარეობისა. ჩემი მეცნიერება მე ჩამინერგა სალმა კლდეებმა, როდესაც დილით მათ აბრწყინვებს მზე და ისინი ჩურჩულობენ თავიანთ ძალ-ღონეზე. მე ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვწუწნიდი სინათლის სხივებს, თავისუფლების წყურვილს. როდესაც მე გამოვეკიდებოდი ფართე ველზე ჭრელ პეპლებს დასაჭერად და უზომო სირბილის გამო თავ-ბრუ დასხმული მიწაზე ვეცემოდი, მე ვსწავლობდი შრომას და სანეტარო დასვენებას შრომის შემდეგ.

არ დაკარგოთ ერთი წამიც-კი და გულმოდგინეთ ისწავლეთ საუკეთესო მასწავლებელთან—ცხოვრებასთან. მე ვლაპარაკობ შრომის ვალზე, ვალდებულებაზე. მაგრამ, რაღაც ცივი სიო უბერავს ამ სიტყვიდან „ვალი“, „ვალდებულება“. მაშ, გავათბოთ, გავაცისკროვნოთ იგი. რათ არ გავხადოთ შრომა საამოდ, არ შევაკავშიროთ იგი ტკბილ და წარმტაც ემოციებთან?

დაე, აღსრულება მშრალი ვალდებულებისა გახდეს ქვაკუთხედათ ადამიანთა დაფასებისა, დაე ახალგაზდა ასული აფასებდეს ჭაბუკს მისი შემოქმედებითი შეძლების მხრით; მაშინ ვალდებულების შესრულებას თან მოყვება საჩუქარი: ლამაზი ღიმილი, წმინდა და სპეტაკი კოცნა!

მაშ, იმუშავეთ! აანთეთ თქვენ გულში შანდალი შემოქმედებისა და უთვალთვალეთ, რომ არ ჩაქრეს ცეცხლი შემოქმედებისა. თქვენი გულის ცეცხლით გაათბეთ ქვეყანა, დაე თქვენს გარშემო მუდამ იყოს შუქი და სინათლე...

იყავით კეთილსურნელოვანნი!!!

სტ. გან—ჯანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიებით და წვრილათ.

[illegible]
ტ. ლ. ბასილაძე და ა. მ. კილაძონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე.

თესლი შემოწმებულია თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს. 15—2

გი და ბუნების უხვი სიმდიდრე ჩვენს ქვეყანას წალკოტათ გადააქცევდა, რომ მას ღირსეული პატრონი ყოლოდა. ჩვენ ვერ ვუპატრონეთ ჩვენს სიმდიდრეს, ვერ მოვიხმარეთ ის და, თუ სხვა მოვიდა და გამოიყენა ეს სიმდიდრე, გამოიყენა არა ჩვენდა სასარგებლოდ, თავისთვის. ჩვენი ბედოვლათობით ეს სხვები ჩვენს სიმდიდრეს ეპატრონებიან და მათი რიცხვიც თანდათან მრავლდება. შესაფერისი ფხა და უნარი ვერ გამოვიჩინეთ ვერც-ერთ სამრეწველო საქმეში.

ჭიათურის შავიქვის მრეწველობა, რომელიც წინათ ჩვენ გვეკუთნოდა, ახლა უცხოელების ხელში გადადის. გურიაში ნავთის საქმე იწყება და აქაც უცხოელები გაჩნდენ. აბრეშუმის პარკი სულ უცხოელებს გააქვთ ჩვენი ქვეყნიდან. კვერცხს, ბამბასა და შალსაც სულ უცხოელები ყიდულობენ ჩვენი ხალხიდან. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის სიუხვით სარგებლობენ სხვები და ჩვენ ამ სიმდიდრის პატრონს პირში ჩალა გამოვლებულს გვტოვებენ. სხვები ამ ჩვენს მიწაწყალზე ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობენ, ჩვენ კი გაჭირვებაში სული გვხდება. აი, სადამდი მიგვიყვანა ჩვენმა ბედოვლათობამ და, თუ დროზე გონს არ მოვედით, კიდევ უფრო ცუდ ადგილას მიგვიყვანს.

ქართველი ინტელიგენციის იმ მცირე ნაწილმა, რომელიც ზემოთ აღვნიშნე, უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება და უნდა მიიღოს ყოველივე ეს მხედველობაში. თუ იტალიაში არ გავიტანოთ პარკი და იქიდან არ შემოვიტანოთ ძაფი და სამი-ოთხი კაცის ხელში არ გავიყვლიფეთ, განა აქ არ შეიძლება მოვაწყოთ პარკიდან ძაფის ამომყვანი ქარხნები. რისთვის არ უნდა მოვაშენოთ ჩაისა და თუთუნის პლანტაციები, დაფნისა და თხილის ტყეები. განა ყოველივე ეს ჩვენს ნიადაგზე კარგათ არ ხარობს! ნუ ვიქნებით ყოველთვის საბრალოები და სხვისი ხელში გამხდარი სათამაშო ნივთი. რისთვის უნდა ვცხოვრობდეთ გაჭირვებით, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დალხინებით ცხოვრებაც შეიძლება. ყველაფერს სალი გონებითა და სწორი თვალებით შევხედოთ, ხელი გავანძრიოთ და სხვისი სამოწყალო არაფერი გვიჭირს. ნუთუ სირცხვილი არ არის 25 მანეთიანი ადგილისათვის ათასი დამცირება ავიტანოთ, მონებათ გავხდეთ და უფროსებს ფეხები ვულოკოთ, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის წყალობით უფრო თავისუფლათ და უფრო კარგათ ცხოვრება შეგვიძლიან?! ორი ქცევა დაფნა რომ მოვაშენოთ, რომელიც გაუჭირვებლათ ყოველ მომაკვდავ ადამიანს შეგვიძლია, თავსაც ძალიან იოლათ გავიტანთ და ხალხსაც სასარგებლო მაგალითს მივსცემთ.

დღეს დაფნა და თხილი აქვთ ჩვენში ზოგიერთებს მოშენებული, მაგრამ ვერ სარგებლობენ იმით იმდენს, რამდენათაც უნდა ისარგებლონ. როგორც სხვა, ისე დაფნისა და თხილის ბაზარი ჩარჩ მევახშეების ხელშია და თუ ვინმე სარგებლობს ამ მეურნეობის დარგით, სარგებლობენ მხოლოდ ეს ვაჟბატონები. წელს ზღვაზე მიმოსვლის გაძნელების გამო, ბამბის დიდი მოთხოვნილება იყო და თანაც დიდი სიძვირე. ჩვენმა ხალხმა მიუხედავად ბამბის ბაზრის ასეთი მდგომარეობისა, ბამბა თითქმის იმაზე ნაკლებ ფასებში გაყიდეს, ვიდრე წარსულ წლეებში ყიდდენ.

რისთვის, რისთვის უნდა ჩაუგდოთ ჩარჩ-მევახშეებს ხელში ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და რისთვის უნდა ვატყვილებიოთ და უღვთოდ ვატყავებიოთ ხალხი მათ.

უთვალავია ჩვენში უსაქმო, უადგილო ინტელიგენტი და კუდაბზიკობას რომ თავს დაანებებდენ, განა ცოტა სამუშაოა ჩვენში რომ უსაქმოთ არ იხეტიალონ. შეიკრიბონ რვა-ათი კაცი, საკმაოა გამოიღონ თითოეულმა ას-ასი მანეთი და დაიწყონ ამ თანხით თუნდა ისეთი სამრეწველო საქმე, როგორიც დაფნის ფოთლის ყიდვა და მისი ბაზარზე გატანაა. ამგვარი მათი მოქმედება ხალხისათვისაც სასარგებლო იქნება და თვით მათთვისაც. ხალხი ნაკლებათ მოტყუვდება და ეს უსაქმო ინტელიგენტებიც სამუშაოს იშოვნიან. უფრო დაწვრილებით თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ და ვასარგებლოთ ხალხი ჩვენი მდიდარი ბუნებით, ამაზე შემდეგ.

გ. ხონელი.

დაბა-სოფლები.

ს. ჭალადიდი. ეს სოფელი წარმოადგენს სენაკის მაზრის დასავლეთის ნაწილს და საზღვრავს: აღმოსავლეთით თეკლიათისა სოფელი, დასავლეთით ქალაქი ფოთი, ჩრდილოეთით ზუგდიდისა და სამხრეთით ოზურგეთის მაზრები. სიგრძით შეიცავს სამოცდა ათ ვერსს და სიგანით კი თუთხმეტს. სოფლები გაშენებული არიან რიონის ორსავე ნაპირზე. სულ იქნება ოთხასი ორმოცდა ათ კომლამდი მოსახლეობა ყველა წოდებისა. მცხოვრებნი ძალიან შორს არიან ერთმანეთისაგან დაშორებული და ეს გარემოება ძალიან უშლის ხელს სოფლის რაიმე კულტურულ დაწესებულების წარმოშობას და ამიტომ სწავლა-განათლების მხრით დიდათ ჩამორჩენილი არიან. თუმცა აქ არსებობს ორი სამრევლო და ერთი სამინისტრო თითოკლასიანი შკოლები, რომლებიც მცხოვრებთა მოთხოვნილებას ნაკლებათ აკმაყოფილებენ.

მკვიდრნი მისდევენ მეტ წილად ხეტყის მუშაობას და სიმინდის თესვას; წარსულ წელში სიმინდის მოსავალი ძალიან მცირე იყო და დღეს ხალხი დიდი გაჭირვებას განიცდის. ხეტყის წარმოებაც შესუსტდა, თორემ მცხოვრებლებს კიდევ შეეძლოთ თავი გაეტანათ. მართალია, თითოეულ კომლს დაურიგეს ექვს-ექვსი მანეთი და შვიდ-შვიდი შაური, მაგრამ ეს ვერ დააკმაყოფილებს ხალხს საზრდოს მხრით, რადგანაც ფუთი სიმინდი შვიდ აბაზათ ფასობს, ფქვილი კი—8—9 აბაზათ.

ამ გაჭირვების დროს სოფელს პატრონი არაყავს; მის ბედს განაგებენ თავის ჭკუაზე მამასახლისები და მისი მწერლები. სიმშილობაზედ ნაკლებათ არ შეუწუხებია, უმოქმედნია ადგილობრივი მცხოვრებლები მთავრობის მამასახლის ბ. ახვლედიანს თავის სტრაჟნიკებით. გადასახადებს თვითონ თავის ნებაზე აწესებდა სოფლებზე, ვის შეეძლო ხმის ამოღება და ურჩობა ამ ვაჟბატონის წინაშე, რომელსაც თავი თითქმის დამოუკიდებელ მთავრად მოქონდა და ქალადიდის საზოგადოებას მისი შენახვა ექვსი-შვიდი ათასი მანეთამდი დაუჯდა.

ნათქვამია: „ერთი დრო არავის შერჩებაო“, და ეს აუსრულდა ახვლედიანს. ბ. ქუთაისის გუბერნატორს არ დაურჩა მისი ოინები შეუმჩნეველი და გაუძახა სამსახურიდან იმ დროს, როცა იგი პრისტავობას ელოდებოდა. აგერ წელიწად ნახევარია, რაც ქალადიდს მამასახლისი არა ყავს და საჭიროა მალე დაინიშნოს არჩევანი მამასახლისისა. საზოგადოება კარგად უნდა დაფიქრდეს და აირჩიოს მამასახლისათ ისეთი კაცი, რომელიც ხალხის საქმეს კეთილსინდისიერათ გაუძღვება.

დუდუ.

დ. ჭიათურა. ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ელექტრონის სადგურის საშუალებით განათებულია ჭიათურის არემარე, კერძო და საზოგადო დაწესებულებანი, მაგრამ სამწუხაროდ ერთი კუთხეა, სადაც რამოდენიმე კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებანი არსებობენ, მაგ თეატრი, ბანკები, კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება, ფოსტა და სხვა,. ისეა დაბნელებული და თან გზებიც უვარგისი, რომ მოგაგონდებათ მიყრუებული, უპატრონო სოფელი. მაგრამ ყველა ამის გასაკეთებლად არავინ ზრუნავს. მხოლოდ ინციატორობაა საჭირო, თორემ თითქმის არავითარ ხარჯს არ გამოიწვევს ამ კუთხის განათება.

ვინაიდან ბაზარში დიდი ფარნების დადგმის შემდეგ სრულიად ტყვილად—უსარგებლოდ ანათებენ უწინდელ დადგმულ პატარა სანათურებს, აი სწორეთ ამ სანათურების გადატანაა იმ კუთხეში საჭირო.

ვიდრე ჭიათურის პირობები ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდეს, ეს სანათურებიც სახმარისი იქნება და შემდეგ კი დიდი ფარნებითაც შეიძლება განათება.

გარდა ზემოხსენებულ დაწესებულებებში მოსიარულეთა, მცხოვრებლებიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან: სიბნელის გამო, რკინის ბოძებს ეჯახებიან და ლაფის შიშით ამიერ კავკ. რკინის გზის სახლების ეზოს უკანა შინაურ, საქვეითო გზით სარგებლობენ, აქ გავლა კი დამცირებაა გამვლელთათვის სხვადასხვა შემთხვევთ და მოსაზრებით.

კარგი იქნება კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენელნი მაინც ითავებდენ ამ საქმის მოგვარებას და მით იხსნიდენ საზოგადოებას სხვადასხვა მოსალოდნელი ხიფათისაგან.

პლატონ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ქუთაისის ქალთა წრე თავის ღრმეს მადლობას უცხადებს შორაპნის მაზრის სოფელ თერჯოლის მცხოვრებთ სალომე და ეკატერინე დავითის ასულთ კნ. იაშვილებს, რომელთაც დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ შემოსწირეს ორმოცი წყვილი ხელთა და შვიდი ჩაბალახი.

ქუთ. ქალთა წრემ მიიღო შემოწირულება: ს. ფ. გოგობერიძის მეუღლისაგან—17 დუჟინი ნაჭერი საპონი, ხონის ქალთა საზოგადოებისაგან ორი ყუთი პაკეტები საჩუქრებით. ყველა ეს შემოწირულება გაიგზავნა მოქმედ ჯარში კავკასიის საზღვარზე.

შემომწირველთ ქალთა წრე უგულითადეს მადლობას უძღვნის.

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთ „სამშობლოში“ ამ მცირე წერილს და მით მოგვცეთ საშუალება გაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას შემდეგი:

ს. მუხურაში (შორაპნის მაზრა) ვიცით ოთხი კაიდღე: ტახსობა, თომობა, გიორგობა და ამაღლება, მაგრამ ვინაიდან წელს ქვეყნიერობა ომის ალში გახვეული რის წყალობითაც ოჯახს ვერ შეხვდებით, რომ მწუხარებით არ იყოს შეპყრობილი და ასეთიც რომ არ იყოს—კაი დღის ხარჯებს ზარალისა და ხალხის ნივთიერი დაქვეითების მეტი არა მოაქვს რა, ამისათვის ამ სოფლის სამი ეკლესიის მრევლმა, 29 მარტის, ერილობაზე ერთხმათ გადასწყვიტა, რომ წელს ზემორე აღნიშნულს კაი დღეების ხარჯებს თავი გაანებოს და არავითარი მზადება არ იქონიონ, რისთვისაც სთხოვენ პატივცემულ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, იმ აღნიშნულს კაი დღეებისათვის მობრძანებით თავს ნუ შეიწუხებენ.

ს. მუხურის სამი ეკლესიის მრევლის მონდობილობით

მღვდელი გალ. აბესაძე.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

გაფრთხილება.
ს/ს გოკიელოვის—შ-ბი
ქუთაისში
ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც ხ. ხრისტოდულიდის მოუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი“, აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი“ რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის“ და ს/ს გოკიელოვის შ—ბის“, აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოკრულებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.
თესლის გაყიდვა გძელდება.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
„ძმათა პასხალიდის“
აბრეშუმის თესლი
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.
თ. 69.

სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).
ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.
ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.
9) „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.